გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით სარალიძის

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 232 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოში''. დავესწარი ფრაქციის -9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -156 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 4 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 7 საკითხი.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 5სხდომას, სადაც განხილული იქნა- 42 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

ქალაქი გორი:

- ი. სუხიშვილის ქ. N18- ეზოს მოასფალტება თანადაფინანსებით,სახურავის დაფარება თანადაფინანსებით.
- 2021 წლის 24 დეკემბერს შევხვდი გორში, მეჯვრისხევის მე-3 ბარაკი- სახლების ნუმერაცია, სახლების დაკანონება.
- ცხინვალის გზატ. მე-5 კმ. ე.წ. ,,ტიუმენის ბინები"-ს - დასასვენებელი სკვერის მოწყობა, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე ცხინვალის გზატკეცილზე არსებული არხის კაპიტალური გაწმენდა-გასუფთავება მე-5 სამხედრო ბრიგადიდან ამილახვრის ხიდამდე.
- ყიფიანის ქ. 33-ში -მცხოვრებ დასასვენებელი სკვერში არსებული საკანალიზაციო ჭის შეკეთება.
- არაგვის ქუჩა- გზის მოასფალტება-შეკეთება.
- ცხინვალის გზატ N 9ბ; 9ვ; 11 და 11 ა - მე-4 ბაგა-ბაღის მიმდებარედ არსებულ სტადიონისა და სკვერის კაპიტალური შეკეთება.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის ბიუჯეტში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით სარალიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ.გორი 2022 წლის 27 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თამარ მურალოვა;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: დავით სარალიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის წმინდაწყლის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ მურალოვა.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის დავით სარალიძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი დავით სარალიძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს დავით სარალიძეს , რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის

30 სექტემბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა დავით სარალიძემ აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: დავით სარალიძემ, ხათუნა მაისურაძემ და ნინო გეგელაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: თამარ მურალოვა;

საკრებულოს წევრი: დავით სარალიძე.